

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი

„ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში (გაზეთი „აჭარა №154 (22.416), 17.08.05., გვ. 10-11) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრების ამავე მუნიციპალიტეტებში შემავალ დასახლებებთან დამაკავშირებელი გზები;

გ) მუნიციპალიტეტებში შემავალი დასახლებების ერთმანეთთან დამაკავშირებელი გზები.“;

2. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მუნიციპალიტეტებში შემავალი დასახლებების ერთმანეთთან შემაერთებელი გზებისათვის – შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული შენობები, დასახლების ცენტრში განლაგებული სახელმწიფო ან საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობანი.“;

3. მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დაპროექტების, მშენებლობის, მოდერნიზაციის, რეაბილიტაციის, მოვლა-შენახვის და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსება ხდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის) ბიუჯეტის ხარჯზე.“.

4. მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) გზების ბლოკირება, საკონტროლო და შესამოწმებელი პუნქტების მოწყობა, დემონსტრაციების, სპორტული შეჯიბრის, სხვა მასობრივ ღონისძიებათა მოწყობა, რომლებიც ცვლიან მოძრაობის დადგენილ რეჟიმს, ასევე გზაზე ავტოტრანსპორტის შესვლა და

გამოსვლა საამისოდ დადგენილ ადგილებში დეპარტამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში), აგრეთვე კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი სხვა სათანადო ორგანოების ნებართვის გარეშე.“;

5. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე მოძრაობის შეწყვეტის ან შეზღუდვის თაობაზე გადაწყვეტილებას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ღებულობს დეპარტამენტი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, აგრეთვე კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილ სხვა სათანადო ორგანოებთან ერთად.“.

6. მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეუფერხებელი და უსაფრთხო მოძრაობის მოთხოვნებთან ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მდგომარეობის შესაბამისობას აკონტროლებს დეპარტამენტი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში) და კანონმდებლობით უფლებამოსილი სხვა სახელმწიფო ორგანოები.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

ლევან ვარშალომიძე

ქ. ბათუმი,

2007 წლის მარტი.

№